პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

4 იანვარი, ოთხშაბათი, 1989 წ.
№ 3 (9920) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

თანადგომით

ვაჯამებთ სპორტული ჟურნალისტების პასუხებს „ლელოს“ ანკეტაზე

ასეთი ანკეტა პირველად დაურიგდათ ჩვენს ჟურნალისტებს. ესეც საჯაროობისა და გარდაქმნის პირობებში ახალი მოთხოვნების თავისებური გამოძახილია. ჟურნალისტი სხვებზე ნაკლებად როდი ხედავს ჩვენს წარმატებებს და არც სხვებზე ნაკლებად სტკივა გული ნაკლოვანებებზე. გამოიკვეთა მთავარი აზრი — წარმატებების მიღმა უნდა დავინახოთ გადასაჭრელი პრობლემები, რაც ხელს გვიშლის შემდგომ წინსვლაში. პირველ ყოვლისა, იგულისხმება სპორტის ჩამორჩენილი სახეობების დაწინაურება, მასობრივ სპორტში მოდუნებული მუშაობის გააქტიურება და ფიზკულტურულ-მასობრივ მოძრაობაში თავჩენილი ნაკლოვანებები. ჟურნალისტები დუმილით არც იმას უვლიან გვერდს, რომ განსაკუთრებული ყურადღებით უნდა ვეკიდებოდეთ ბავშვთა სპორტს, საჭიროა ხოფლად ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის გამოცოცხლება, რადგან მასობრიობის გარეშე, სადაც ჯეროვანი ადგილი უნდა მივაკუთვნოთ სპორტის ეროვნულ სახეობებსა და მრავალფეროვან ხალხურ თამაშებს, ფუჭი ოცნება იქნება დიდ სპორტში დაძლეული სიმაღლეების შენარჩუნება და წარმატებების შემდგომი განმტკიცება-გაღრმავება.

ჟურნალისტები ხმას იმაღლებენ ჩვენს სფეროში შემორჩენილი სტერეოტიპების, უძრაობის პერიოდიდან ჯერ კიდევ მემკვიდრეობით მიღებული ყველაზე საშინელი სენის — ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ. საკუთარ პრობლემებს სპორტული ჟურნალისტები იმაში ხედავენ, რომ სპორტული საზოგადოებები და უწყებები, ცალკეული ორგანიზაციები ყოველთვის საქმიანად როდი რეაგირებენ მათ მიერ წამოჭრილ საკითხებზე. დაბალ რგოლებში, იქ, სადაც პრაქტიკულად უნდა მოგვარდეს ეს საკითხები, სპორტული მუშაკები და სპეციალისტები საკუთარი მუნდირის დასაცავად ოსტატურად ნიღბავენ პრობლემებს, გულს არ უხსნიან ჟურნალისტებს, ისინი, — პასუხებში ასეთი ფრაზაც გვხვდება, „ერთგვარ „შიშს“ გრძნობენ ჟურნალისტების წინაშე“. რატომ? განა ნაკლოვანებების მიჩქმალვით საქმეს ეშველება? პრესამ და სპეციალისტებმა ერთიანი ძალით უნდა იბრძოლონ პრობლემების გადასაჭრელად. სამწუხაროდ, გვყავდა და დღესაც გვხვდებიან ისეთი სპორტული მუშაკები, სპეციალისტები და მწვრთნელებიც, რომლებსაც თავი ხელშეუხებლად მიაჩნიათ, თავის აზრს და შეხედულებებს არ გაგიზიარებენ, შენსას კი სადაოდ გაგიხდიან, არაკომპეტენტურობას დაგწამებენ. მერედა, ვის და რის საზიანოდ? ცხადია, საერთო საქმის საზიანოდ.

არა, ახლა ამ სტრიქონებს მხოლოდ იმიტომ არ ვწერთ, რომ ვინმეს განაწყენება გვსურს, ანდა სამაგიეროს ვუხდით, პირიქით, გვინდა ჩვენი დარგის სპეციალისტებთან საერთო ენა გამოვნახოთ, გვინდა ჩვენს შორის ურთიერთგაგებაზე და კეთილ სურვილებზე დაფუძნებული კონტაქტები დამყარდეს, ერთმანეთს პირში ვუთხრათ სათქმელი, გადავლახოთ, უნდობლობის ბარიერი, ნურც კარგს დავმალავთ და ნურც ავს, ამას ჩვენი საერთო მისწრაფება და ინტერესები, ჩვენი საერთო ამოცანა — რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის შემდგომი აღმავლობა, მისი დღევანდელი და ხვალინდელი დღე, ჩვენი ხალხის კეთილდღეობისათვის საერთო ზრუნვა მოითხოვს.

თანადგომით ვითანამშრომლოთ რესპუბლიკის ფიზკულტურული და სპორტული მოძრაობის შემდგომი აღმავლობისათვის.

მოსწავლეთა ზამთრის არდადეგები

ყველგან ერთნაირად არ ზრუნავენ

არდადეგების პერიოდი პირდაპირ მისწრებაა ნორჩი სპორტის მოყვარულებისთვის. წელსაც, როგორც ყოველთვის, ზამთრის არდადეგების ამ დროს უამრავი სპორტული ღონისძიებაა გათვალისწინებული, რაც თბილისში დედაქალაქის სპორტკომიტეტის თაოსნობით ტარდება.

ვეწვიეთ 26 კომისრების სახელობის ბავშვთა და მოზარდთა სპორტულ სკოლას, სადაც 3-დან 10 იანვრამდე დაგეგმილია შეჯიბრებების ჩატარება სპორტის ხუთ სახეობაში — ჭადრაკში, მაგიდის ჩოგბურთში, შაშში, ფრენბურთსა და ბადმინტონში.

შეჯიბრების ორგანიზაცია აქ საყოველთაო მოწონებას იმსახურებს, ბავშვთა შეჯიბრებებს კი მშობლებიც ესწრებიან.

სულ სხვა სურათი ვნახეთ 44-ე საშუალო სკოლაში, სადაც ფიზკულტურის დარბაზი გამოკეტილი დაგვხვდა. არადა, დაგეგმილი იყო შეჯიბრება მინიფეხბურთში. აქ ჩვენ ვერც მოთამაშეებს შევხვდით და ვერც ფიზკულტურის მასწავლებელს, რატომ? ვის მოეთხოვება პასუხი?

მერი დიდმელაშვილი.

ეს ფოტოსურათები „ლელოს“ ფოტოკორესპონდენტმა ალექსანდრე კოტორაშვილმა გუშინ გადაიღო 26 კომისრის რაიონის ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლაში.

საახალწლო ტურნირები

ლონდონი. როგორც ვიუწყებოდით, საბჭოთა კავშირის კალათბურთელ ვაჟთა ნაკრებმა კიდევ ერთ საახალწლო ტურნირში მიიღო მონაწილეობა. აქ გათამაშების ფინალში გავიდნენ შოტლანდიის „მიურეი ლივინგსტონი“ (წინა დღით მან სწორედ ჩვენი გუნდი დაამარცხა) და გფრ-ის კლუბი „ბაიერი“. გამარჯვება და მთავარი პრიზი შოტლანდიელმა კალათბურთელებმა მოიპოვეს — 71:62.

მესამე ადგილისთვის ბრძოლაში საბჭოთა ნაკრებმა საბერძნეთის „არისს“ აჯობა — 98:71.

ქალთა შეჯიბრება მოიგო ბრაზილიის „კონტინენტალმა“ ქალაქ სანპაულუდან. ფინალში სამხრეთამერიკელებმა სოფიის „ლევსკი-სპარტაკი“ დაამარცხეს — 100:66.

• • •

ბაზელი (შვეიცარია). კაუნასის „ჟალგირისმა“, რომლის შემადგენლობაში გამოდიოდნენ არვიდას საბონისი და რიმას კურტინაიტისი, მოიგო საახალწლო ტურნირი. გადამწყვეტ შეხვედრაში ლიტველებმა ამერიკული გუნდი — ჩიკაგოს „მარათონი“ დაამარცხეს — 97:89 (43:50).

სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ!

დღეს, 4 იანვარს, საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაცია აწყობს რესპუბლიკის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში მომუშავე ჟურნალისტების შეხვედრას თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის ხელმძღვანელებთან.

შეხვედრა, რომელიც დიღმის საწვრთნელ ბაზაზე გაიმართება, ეძღვნება ახალი სპორტული სეზონისთვის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდის მზადების საკითხებს.

დასაწყისი 18 საათზე.

ტელეტაიპი - მკითხველი

ლენინგრადი. როგორც ცნობილია, სათხილამურო რბენაში მსოფლიო თასის გათამაშების მეოთხე ეტაპი კოვგოლოვოს საქვეყნოდ ცნობილ ტრასაზე გაიმართება. შეჯიბრებაში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა 14-მა ეროვნულმა ფედერაციამ. ნორვეგიის გუნდის განაცხადში შეყვანილი არიან ცნობილი მოთხილამურეები გ. მიქელსპლასი და ვ. ულვანგი. ძლიერი გუნდები ეყოლებათ ფინეთს, გდრ-სა და შვეციას.

გარმიშ-პარტენკირხენი. „ოთხი ტრამპლინის ტურნეს“ მონაწილეებმა გფრ-ის ამ ქალაქში გადაინაცვლეს. 90-მეტრიან ტრამპლინზე საუკეთესო შედეგი ოლიმპიურმა ჩემპიონმა, ფინელმა მ. ნიუკიანენმა აჩვენა (109 და 102 მეტრი). მეორე ადგილზე გავიდა ი. ვაისფლოგი (გდრ), მესამეზე კი რ. ლააკონენი (ფინეთი).

მაშ, რა აკლდა?



ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

Советский спорт

ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА СССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И ВЦСПС

ИЗДАЕТСЯ С 20 ИЮЛЯ 1924 г.

საბჭოთა მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ოპერატიულობის წყალობით ჩვენმა საზოგადოებრიობამ თავის დროზე შეიტყო, რომ სალონიკში მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის დამთავრებამდე რამდენიმე ტურით ადრე სსრ კავშირის ნაკრები გუნდის წევრი, საერთაშორისო დიდოსტატი ელენა ახმილოვსკაია ცოლად გაჰყვა ამერიკელ მოჭადრაკე ჯონ დონალდსონს და მიატოვა ტურნირი.

ვბედავთ ვივარაუდოთ, რომ არცთუ დიდი ხნის წინათ საბჭოთა სპორტსმენის ასეთი საქციელი გამოიწვევდა ზემოდან სანქცირებულ მრისხანე კამპანიას „გმცემის“ გასაშავებლად და თანამემამულეთა თვალში მისი სახელის გასატეხად. ასეთი მიზნის მისაღწევად, რა დასამალია, ყველა საშუალება იქნებოდა გამოსადეგი, დღეს, საბედნიეროდ, მსგავსი არაფერი ჩანს. ეს კი, ჩვენი ღრმა რწმენით, გარდაქმნის ერთ-ერთი მონაპოვარია.

და ჩვენც, ბუნებრივია, შორსა ვართ იმისგან, რომ გავკიცხოთ ახმილოვსკაიას საქციელი, თუმცა მისმა არყოფნამ ოლიმპიადის ბოლო ტურებზე მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ოქროს მედლების განაწილებაში ჩვენი უნგრელი მეტოქეების სასარგებლოდ. ვიმეორებთ: ელენას გაკიცხვას არ ვაპირებთ, რადგან თითოეულ ადამიანს აქვს უფლება დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება იმ საკითხებზე, რომლებიც მის პირად ცხოვრებას შეეხება.

ჩვენ აგვაღელვა და შეგვაშფოთა სხვა ამბავმა. ცოტა ხნის წინ ჩატარებულ საბჭოთა კავშირის ჭადრაკის ფედერაციის სხდომაზე გაისმა სიტყვები, თითქოს ე. ახმილოვსკაიას საზღვარგარეთ წასვლა გამოწვეული იყო მისი ცუდი საყოფაცხოვრებო პირობებით. თითქოს ე. ახმილოვსკაიას, მისი არაქართული წარმოშობის გამო, შვიდი წლის წინ ჩვენს რესპუბლიკაში მუდმივად საცხოვრებლად გადმოსვლის თითქმის პირველივე დღიდან უქმნიდნენ წინააღმდეგობებს.

ძნელი სათქმელია, ვის სჭირდება ასეთი უაზრო გამონაგონის გავრცელება. ალბათ უფრო იმ ადამიანებს, რომლებიც ეროვნებათა შორის შუღლის გაღვივებას ცდილობენ. ამ ჭორების გავრცელებას ჩვენ სხვაგვარ ახსნას ვერ ვუძებნით.

და ეს ფუჭსიტყვაობად რომ არ ჩამოგვართვან, შევეცდებით რამდენიმე შტრიხით წარმოგიდგინოთ „ცუდი“ პირობები, რა პირობებშიც თითქოსდა ე. ახმილოვსკაია საქართველოში ცხოვრობდა.

ბოლო ორი წლის განმავლობაში, მას შემდეგ, რაც ქმარს გაეყარა, ე. ახმილოვსკაიას, რომელიც თბილისში ჩაწერილი არ იყო, ამოსარჩევად სამი ბინა შესთავაზეს, მაგრამ მას არც ერთი არ მოუვიდა თვალში. წლეულს (ეს წერილი 1988 წელს დაიწერა. — რედ.) ახმილოვსკაიამ, როგორც იქნა ამოირჩია თავისთვის და თავისი გოგონასთვის ოროთახიანი ბინა 48 კვადრატული მეტრი ფართობით იმ რაიონში, სადაც რესპუბლიკის ბევრი ცნობილი სპორტსმენი ცხოვრობს. აქვე შევნიშნავთ, საქართველოს სპორტსახკომს არ დაუყენებია საკითხი კურორტ ბიჭვინთაში, სადაც ე. ახმილოვსკაია მუდმივად იყო ჩაწერილი, მისი კუთვნილი ბინის სახელმწიფოსათვის ჩაბარების შესახებ. გარდა ამისა, საკავშირო და საერთაშორისო სარბიელზე მოჭადრაკის მაღალი სპორტული მაჩვენებლების აღსანიშნავად რესპუბლიკის სპორტსახკომმა მარტო ორი წლის განმავლობაში ორჯერ მისცა უფლება რიგგარეშე შეეძინა ავტომანქანები გაზ-2410 და ვაზ-2107.

ეთიკური მოსაზრების გამო აღარ ვილაპარაკებთ სხვა შეღავათებსა და პრივილეგიებზე, რითაც სარგებლობდა ე. ახმილოვსკაია, არ დავასახელებთ საქართველოს სპორტსახკომის და პროფკავშირთა სპორტული საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს მიერ ახმილოვსკაიას იმ სასწავლო-საწვრთნელი შეკრებებისთვის გაღებულ თანხას, რომლებშიც თვითონ მოჭადრაკისა და მისი მწვრთნელის გარდა, როგორც წესი, მონაწილეობდნენ სეკუნდანტები, სპარინგ-პარტნიორები, და ყველაფერი ეს, შეჯიბრებებთან ერთად, პრაქტიკულად, წლების მანძილზე გრძელდებოდა.

ასე დაწვრილებით საუბარი მხოლოდ იმისთვის გვჭირდება, რომ წარმოვაჩინოთ ჩვენი რესპუბლიკის მზრუნველობა ჩვენს მოჭადრაკეთა მიმართ, მათ შორის ე. ახმილოვსკაიას მიმართაც.

იმედს გამოვთქვამთ, რომ ჩვენი წერილის გამოქვეყნება ხალისს დაუკარგავს იმ ადამიანებს, რომლებიც ასეთ მავნე ხმებს ავრცელებენ, რომლებიც ცდილობენ ბზარი შეიტანონ კეთილმეზობლურ ურთიერთობებში.

საერთაშორისო დიდოსტატები
მ. ჩიბურდანიძე
მსოფლიო ჩემპიონი,
ნ. იოსელიანი,
ნ. გაფრინდაშვილი,
ნ. ალექსანდრია,
ქ. არახამია,
ზ. გურგენიძე,
გ. ზაიჩიკი,
ზ. აზმაიფარაშვილი,
ე. უბილავა.

ჩვენი კორესპონდენტის ბოლოსიტყვა

თხოვნით ამ წერილის გამოქვეყნების შესახებ „სოვეტსკი სპორტის“ თბილისის საკორესპონდენტო პუნქტში მოგვმართა მსოფლიო ჩემპიონმა მაია ჩიბურდანიძემ. დაგვეთანხმებით, ასეთი რამ ყოველდღე არ ხდება და უკვე ეს ფაქტი უსვამს ხაზს იმ მნიშვნელობას, რასაც წერილის ავტორები ჭეშმარიტების დადგენას ანიჭებენ.

მე შემდეგი მინდა დავუმატო. ამ რამდენიმე თვის წინ, 1988 წლის აგვისტოში, ჟურნალ „64-შახმატნოე ობოზრენიეს“ ერთ-ერთ სპეცგამოშვებაში, გაზეთ „სოვეცკი სპორტის“ დაიბეჭდა ინტერვიუ ე. ახმილოვსკაიასთან. კითხვაზე, თუ როგორ ცხოვრობს იგი საქართველოში, მოჭადრაკე უპასუხებს: „პრეტენზიები არა მაქვს, მყავს მწვრთნელიც, არც შეკრებები მაკლია, არც მოგზაურობა“.

დ. კაკაბაძე. „სოვეტსკი სპორტი“
8 იანვარი.

მკითხველთა ეროვნული ბიბლიოთეკა

წარსულის ფურცლები

პირველი ფიზკულტურული დღესასწაული

მონაწილის მოგონებები

რას წარმოადგენდა და რა მიზანს ემსახურებოდა ფიზკულტურული ალუმები, რომელიც ადრე მოსკოვში იმართებოდა? ამ შეკითხვით ხშირად მოგვმართავენ ჩვენი მკითხველები, განსაკუთრებით ახალგაზრდები, რომლებსაც მხოლოდ სმენიათ ამ მასობრივი ღონისძიებების შესახებ.

დღეს ვაქვეყნებთ მოსკოვში 1937 წელს გამართული პირველი ფიზკულტურული დღესასწაულის მონაწილის, რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებლის ვახტანგ ქუთათელაძის მოგონებას. ვფიქრობთ, დაინტერესებული მკითხველი ამ წერილში ჩვენი ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის იმ პერიოდის სუნთქვასაც შეიგრძნობს.

ფიზკულტურელთა პირველი საკავშირო ალუმი ჩატარდა 1937 წლის აგვისტოს, მოსკოვში, წითელ მოედანზე.

1936 წლამდე შეჯიბრებები ტარდებოდა ერთიანი საკავშირო საკლასიფიკაციო პროგრამით, რომლის საფუძველზე სასწავლო დაწესებულებებში, ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებებში, უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში, სარაიონო, საქალაქო, რესპუბლიკური, სამხარეო და საკავშირო მნიშვნელობის შეჯიბრებებზე სპორტსმენებს სპორტის სხვადასხვა სახეობებში სათანადო სპორტული თანრიგები ენიჭებოდათ.

ამ შეჯიბრებებში მონაწილეობდა ჩვენი ახალგაზრდობის უმნიშვნელო ნაწილი, რადგან ჩვენს ქვეყანაში მასობრივი ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის დონე შედარებით დაბალი იყო.

ფიზკულტურასა და სპორტში ახალგაზრდობის ჩაბმის მიზნით 1937 წლიდან შემოღებული იქნა და ტრადიციად იქცა საკავშირო ფიზკულტურული ალუმების ჩატარება, რომელშიც ყველა რესპუბლიკის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. პირველ საკავშირო ფიზკულტურელთა ალუმში მონაწილეობა მიიღო ჩვენი რესპუბლიკის 400 ფიზკულტურელმა. იმ დროს რესპუბლიკის ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე ალექსანდრე ჰელიძე იყო. როგორც ცნობილია, 1937 წელს სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული ფიზიკური კულტურის ფაკულტეტი გამოეყო უნივერსიტეტს და შეიქმნა საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი (ორთაჭალაში სამასი არაგველის ალმართზე, ყოფილ მაკარონის ფაბრიკის ბაზაზე). ამ დროს მე გახლდით ამ ინსტიტუტის II კურსის სტუდენტი. ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ დროულად დაიწყო მზადება საკავშირო ფიზკულტურელთა ალუმში მონაწილეობისათვის. დელეგაციის წევრების შერჩევა-დაკომპლექტება ხდებოდა რესპუბლიკის და ძირითადად უმაღლესი სასწავლებლების მოწინავე ფიზკულტურელებითა და სპორტსმენებით. დელეგაციის წევრებს არჩევდა სპეციალურად გამოყოფილი კომისია, რომელსაც შემუშავებული ჰქონდა მოთხოვნები, როგორც ვაჟებისათვის, ასევე ქალებისათვის. მოთხოვნებში შედიოდა ფიზიკური მომზადება, ტანის აგებულება, სიმაღლე, იერ-სახე (დამახასიათებელი ქართველი კაცისა და ქალისა), სიარული, სმენა და სხვა. ამ მოთხოვნების შესაბამისად თბილისის ყველა სახელოვნო სპეციალური და უმაღლესი სასწავლო დაწესებულებებიდან კომისიის მიერ შერჩეული იქნა ახალგაზრდების უფრო მეტი რაოდენობა, ვიდრე გათვალისწინებული იყო.

საკავშირო ალუმი უნდა ჩატარებულიყო აგვისტოში. მაისში ყველა წინასწარი შესარჩევი და საორგანიზაციო მუშაობა დამთავრდა და ამის შემდეგ რამდენჯერმე მოეწყო სპორტსმენთა საერთო შეკრება თბილისის „დინამოს“ სტადიონზე, სადაც ისინი გაეცნენ ჩვენი მუშაობის გეგმებს. მხატვრული გამოსვლის სცენარის შედგენაში მონაწილეობდნენ ჩვენი რესპუბლიკის ხელოვნების, ფიზიკური კულტურისა და სპორტის ცნობილი სპეციალისტები. საალუმო მზადებას ხელმძღვანელობდა რესპუბლიკის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე ა. ჰელიძე. სცენარის მიხედვით საკმაოდ მრავალფეროვანი და საინტერესო სპორტული სანახაობა უნდა გამოსულიყო. ალუმში მონაწილე ყველა რესპუბლიკას უნდა გამოეკვეთა მისთვის დამახასიათებელი ხელოვნების ნიმუშები, სპორტული მიღწევები, ერის წეს-ჩვეულებები, მისი ტანსაცმელი, ტრადიციები, თავისებურებანი და ა. შ. პროგრამა, რომლითაც უნდა გამოვსულიყავით ალუმზე, დამტკიცებული იყო შემდგომი ორგანოების მიერ, მაგრამ მზადების პროცესში მაინც გვიხდებოდა ზოგი რამის შეცვლა.

საალუმო მზადება, დაახლოებით ორ თვენახევარს გაგრძელდა. თავდაპირველად შეკრების ადგილად შერჩეული იყო დაბა მანგლისი. შეკრების მონაწილეები ხელმძღვანელებთან ერთად (დაახლოებით 450 კაცი) ავტობუსებით გავემგზავრეთ მანგლისში, დავბინავდით კერძო ბინებში და მეორე დღიდან შევუდექით მეცადინეობას. ყოველ ჯგუფს ჰყავდა თავისი ხელმძღვანელი. თითოეული მონაწილე უზრუნველყოფილი იყო საწვრთნო-სპორტული ტანსაცმლით. პირველ დღეებში მეცადინეობები ტარდებოდა გარეთ, სუფთა ჰაერზე, მაგრამ მალე ამინდი შეიცვალა — დაიწყო გადაუღებელი წვიმები. ამ პირობებში გარეთ მეცადინეობა შეუძლებელი გახდა და სამეცადინოდ მცირე ჯგუფებად საჯინიბოებში და სხვადასხვა ზომის სარდაფებში გადაგვიყვანეს. რა თქმა უნდა, მეცადინეობის ხარისხი ძალზე დაბალი იყო. მტვერსა და ბუღში გვიხდებოდა ვარჯიში, განსაკუთრებით ქართული ცეკვის ილეთების შესრულების დროს. იყო დღეები, როდესაც გამოდარდებოდა, ცხადია, მაშინვე გარეთ გამოვდიოდით ხოლმე. მაგრამ როგორც კი გაავდრდებოდა, ისევ [illegible]ში. ახლოვდებოდა საალუმო მზადების ვადა, ჩვენ კი სავალალო მდგომარეობაში ვიყავით — მზადება ვერ ვასრულებდით. ასეთმა მდგომარეობამ ჩვენი ხელმძღვანელობა აიძულა შეეცვალა სამეცადინო ადგილმდებარეობა. დავტოვეთ მანგლისი და გავემგზავრეთ სოხუმში. როგორც ცნობილია, იმ დროს სოხუმამდე რკინიგზის ხაზი გაყვანილი არ იყო. მატარებელი თბილისიდან მხოლოდ კელასურამდე ჩადიოდა. ჩავედით კელასურში და დავბინავდით შერჩეულ ადგილას, გავშალეთ კარვები და მეცადინეობას შევუდექით. დროის სიმცირის გამო მთელი დღე ვვარჯიშობდით. დღის რეჟიმი ასეთი იყო — დილაადრიან წელს ზევით შიშველნი ბანაკიდან მწყობრი ნაბიჯით და სიმღერით მივემართებოდით სოხუმის „დინამოს“ სტადიონისკენ (მანძილი დაახლოებით 5 კმ შეადგენდა). ასე ვვარჯიშობდით მთელი დღის განმავლობაში, რათა ტან-ფეხი მზისგან გაგვრუჯოდა — მზიური საქართველოს წარმომადგენლებს რომ შეეფერებოდათ. ჩვენს პროგრამაში შედიოდა საქართველოს სხვადასხვა კუთხის ცეკვები — ქართული, მთიულური, ხორუმი და სხვა. პროგრამის საერთო მხატვრული ხელმძღვანელი და ცეკვების უშუალო ხელმძღვანელი იყო ცნობილი ქორეოგრაფი, დავით ჯავრიშვილი, მასთან ერთად მუშაობდნენ ჯანო ბაგრატიონი, დავით მაჭავარიანი, ნადეჟდა რაშჩეპკინა და სხვა, ფიზკულტურულ-სპორტულ ვარჯიშებს ხელმძღვანელობდნენ სპორტის დამსახურებული ოსტატი დიმიტრი ჩიკვაიძე, ვასო ვერულაშვილი, ოთარ აბუაშვილი, აგრეთვე ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი, ამჟამად რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი შოთა კაკაურიძე და მე, როგორც ტანმოვარჯიშე. რესპუბლიკის მილიციის სასულე ორკესტრს დირიჟორობდა ნიკოლაი ჟელტუხინი (მასთან ერთად იყო მისი 10-12 წლის შვილი ალექსანდრე, რომელმაც შემდგომში გააგრძელა მამის საქმიანობა და ათეული წლების განმავლობაში მამამისის მიერ შექმნილ სასულე ორკესტრს დირიჟორობდა. ამჟამად ამ სასულე ორკესტრს ხელმძღვანელობს ალექსანდრეს ქალიშვილი ნინა ჟელტუხინა).

იმ დროს კვების საკითხი ჭირდა, მაგრამ ჩვენი დელეგაციის წევრებს ამ მხრივ სიძნელეები არ გვქონია. მიუხედავად იმისა, რომ მთელი დღის განმავლობაში ძალზე დიდი ფიზიკური დატვირთვა გვქონდა, შეკრების ყველა მონაწილე ცდილობდა ყველაფერი გაეკეთებინა იმისათვის, რათა ჩვენი რესპუბლიკა ამ დიდ ფორუმზე რაც შეიძლება კარგად გამოსულიყო. თითოეულ ახალგაზრდაში იგრძნობოდა დიდი სიყვარული საქართველოსადმი და სიამაყე, რომ იგი ჩვენი დელეგაციის წარმომადგენელი არის. ამიტომ ყველა სიძნელე, რომელიც მზადების პერიოდში იქმნებოდა, უმტკივნეულოდ გადაგვქონდა.

გამგზავრებიდან ორი კვირით ადრე მკერავებმა მონაწილეებს საალუმო ფორმის დამზადებისათვის ზომები აუღეს. ფორმა ასეთი იყო: წითელი ფერის აბრეშუმის უსახელოებო ქულაჯა საქილეებით, ირგვლივ ოქროსფერი მოსირმული კანტით, ქულაჯის ქვემოთ ყვითელი ფერის აბრეშუმის ასევე უსახელოებო მაისური, რომელსაც მიკერებული ჰქონდა მოკლე, ოქროსფერი კანტშემოვლებული ტრუსები. ასეთ კოსტუმში მოვარჯიშეებს გამოკვეთილად უჩანდათ მზისაგან გაშავებული მკლავები და ფეხები. ფეხზე თეთრი ოქროთი მოსირმული წუღები, წელზე თეთრი ტყავის ბალთიანი ქამარი, რომელზეც დამაგრებული იყო წითელი ფერის ხავერდის ბუდე და ხანჯალი, აგრეთვე თავზე მორგებული თუშური ქუდები ძალიან ეფექტურ და ელეგანტურ შეხედულებას აძლევდა ჩვენს ვაჟებს. (ეს ფორმა შემუშავებული იყო ცნობილ მხატვარ სერგო ქობულაძის მიერ). ანალოგიური იყვნენ გამოწყობილნი ჩვენი ქალიშვილები, რომლებშიც ქართველი ქალის სინაზე და პატრიოტიზმი იგრძნობოდა. ალუმზე გამგზავრების წინ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მაშინდელმა პირველმა მდივანმა კანდიდ ჩარკვიანმა თავისთან მიიწვია ფორმაში გამოწყობილი რამდენიმე ქალ-ვაჟი და კმაყოფილი დარჩა.

დადგა მოსკოვში გამგზავრების დროც, თბილისიდან მატარებელი მაშინ ბაქოს გავლით მიდიოდა და ჩასვლას ოთხ დღე-ღამეს ანდომებდა. იგი ორთქლმავლით მოძრაობდა და მოსკოვში ჩასულებს დაჭვარტლულ პირსახეზე მხოლოდ კბილები გვიჩანდა თეთრად.

ჩვენს გამოსვლაში გათვალისწინებული იყო სიმღერა, რომელსაც ყველა ერთდროულად ვასრულებდით. სიმღერის შესასწავლად მომაგრებული იყო რესპუბლიკის სახალხო არტისტი, კომპოზიტორი კოტე ფოცხვერაშვილი. მან ჩვენთან რამდენიმე მეცადინეობა ჩაატარა, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. ძირითადად სიმღერა უნდა შეგვესწავლა მგზავრობის დროს — მატარებელში.

მიუხედავად მოკლე დროისა, კომპოზიტორმა კ. ფოცხვერაშვილმა მაინც მიაღწია საწადელს. ჩვენი გამოსვლის დევიზი იყო „სამხრეთის კარები საიმედოდ დაცულია“! მაშინ სსრ კავშირში გაერთიანებული იყო 11 რესპუბლიკა, ამიტომ ჩვენი გამოსვლაც 11 სხივად იწყებოდა. თითოეული სხივი ცალკე რესპუბლიკას წარმოადგენდა, შემდგომ იწყებოდა თავისუფალი ვარჯიში, რომელიც ქალიშვილებთან ერთად სრულდებოდა. დიდი დრო ეთმობოდა ეროვნულ ცეკვებს. ცეკვის დროს ცენტრში ეწყობოდა სამსართულიანი წრეები, ვასრულებდით ფერხულის ილეთებს, ჩართული იყო ქართული ცეკვები და სხვადასხვა რთულად შესასრულებელი ცეკვის ილეთი. მუსიკა ძირითადად კომპოზიტორ ზაქარია ფალიაშვილის ოპერებიდან იყო გამოყენებული.

თითოეულ რესპუბლიკას გამოსვლისათვის დათმობილი ჰქონდა 5-7 წუთი.

მოსკოვში ჩასულთ დაგვახვედრეს ავტობუსები და ყველანი აბანოში წაგვიყვანეს. შემდეგ საცხოვრებლად დაგვაბინავეს. ეს იყო აგურის შენობები. თითოეულ ოთახში მოწყობილი იყო ორსართულიანი საწოლები („ნარები“). იქვე იყო სასადილოც. ერთი სიტყვით, კარგად მოვეწყეთ. კვება ნაირფეროვანი იყო. აგრეთვე დიდი დრო ეთმობოდა რეპეტიციებს. ჩავატარეთ გენერალური რეპეტიციაც „დინამოს“ ცენტრალურ სტადიონზე.

გამოსვლის დღეს დილაადრიან მიგვიყვანეს წითელ მოედანზე და მაღაზია „გუმ“-ში გაგვაჩერეს. იქვე ჩავიცვით საალუმო ტანსაცმელი და მოვემზადეთ გამოსვლისათვის. კრემლის კურანტებმა 11 რომ შემოკრეს, ტრიბუნაზე სტალინი გამოჩნდა, მას პოლიტბიუროს დანარჩენი წევრები მოჰყვებოდნენ. ალუმი დაიწყო. დელეგაციები მათთვის განკუთვნილ დროს გამოდიოდნენ. დადგა ჩვენი დროც — მუსიკის თანხლებით მწყობრი ნაბიჯით გამოვედით დროშებით. წინ მიგვიძღოდნენ ჩვენი რესპუბლიკის უძლიერესი სპორტსმენები, სპორტის დამსახურებული ოსტატი, მოჭიდავე შალვა ჩიხლაძე და სხვები. დაიწყო მხატვრული ნაწილი, მაყურებელი ეტყობა კმაყოფილი დარჩა, ხშირად გაისმოდა ტაში. ალუმის დამთავრების შემდეგ რესპუბლიკის 20-კაციანი ჯგუფი ბანკეტზე მიიწვიეს გორკის დარბაზში. ბანკეტს სტალინიც ესწრებოდა.

თბილისში დაბრუნების შემდეგ რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ ყველა მონაწილე დააჯილდოვა როგორც საწვრთნელი, ისე საალუმო ფორმით და ფასიანი საჩუქრებით. პირადად მე წილად მხვდა ველოსიპედი, რომელიც იმ დროისათვის ჩვენი სანუკვარი ოცნება იყო.

ვახტანგ ქუთათელაძე.

გვჭირდება ბავშვების ზომის სპორტული ფორმა

ჩვენი რაიონის მოზარდთა შორის ჭიდაობა განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს. პროფსპორტის და განათლების განყოფილების სპორტული სკოლების სექციებში 250 ბავშვი მეცადინეობს, რომლებიც სისტემატურად მონაწილეობენ რაიონულ თუ რესპუბლიკურ შეჯიბრებებში. მაგრამ ჩვენს მუშაობას აფერხებს ის, რომ ვერ შეგვიძენია პატარა ზომის საჭიდაო ფორმები, ჩოხები და ფეხსაცმელები. წარმოიდგინეთ 10 წლის ბიჭუნა, რომელსაც 50-52 ზომის ფორმა აცვია! ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, დიდი ზომის ტანსაცმელი ბავშვებს ნორმალურ ვარჯიშში უშლის ხელს.

პატივცემულო რედაქცია, გთხოვთ, იმ ორგანიზაციებს, რომლებსაც სპორტული მალაზიების მომარაგება ევალებათ, მიმართოთ თქვენი გაზეთის მეშვეობით, რომ მარტო ჩვენს რაიონს სამას ცალამდე პატარა ზომის საჭიდაო ფორმა ესაჭიროება.

ბონდო შუშია,
ზუგდიდის რაიონის პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლის დირექტორი.

მურთაზ ჩანგელია,
სოფელ დარჩელის საშუალო სკოლის დირექტორი.

ვის მივმართოთ, სად გავერთიანდეთ?

დიდი ინტერესით წავიკითხე „ლელოს“ 26 ნოემბრის ნომერში დაბეჭდილი წერილი „მარჯვენა გიყურთხოთ“.

ამ ზაფხულს ვნახე ფილმი „მთელი ძალით“ სტალონეს მონაწილეობით და გავიგე, რომ არსებულა მკლავის გადაწევის ფედერაცია, ტარდება მსოფლიო ჩემპიონატებიც.

უნდა მოგახსენოთ, რომ ნამდვილად შესანიშნავი საქმე წამოიწყეთ, მთელი სულით და გულით გიჭერთ მხარს, მაგრამ, ალბათ, საჭირო იქნება გაგვაცნოთ სპორტის ამ სახეობის ისტორია, გვაცნობოთ ისიც, ვის მივმართოთ და სად გავერთიანდეთ მისი გულშემატკივრები.

კარგი იქნება თუ თქვენი გაზეთის საშუალებით გვირჩევთ ვარჯიშის იმ სახეობებს, რომლებიც სწორედ მკლავის „[illegible]“ არის საჭირო, რადგან ბევრი ისეთი კაცი ვიცი, საერთო ფიზიკური ძალით დიდად რომ არ გამოირჩევა, მაგრამ სწორედ მკლავის გადაწევაშია ძლიერი.

ზურაბ იაშვილი,
ჰიდრომეტეოროლოგიური სამმართველოს ინჟინერი.

იმედის თვალით

რესპუბლიკაში ძალოსნური სპორტი რომ არასახარბიელო მდგომარეობაშია, ეს კარგადაა ცნობილი. ჯერ კიდევ დაბალია რესპუბლიკის წამყვანი ძალოსნების ტექნიკური შედეგები. იგი საკავშირო მაჩვენებლებს საგრძნობლად ჩამორჩება. (სასიამოვნო გამონაკლისს წარმოადგენს საბჭოთა კავშირის თასის გათამაშებაში ცნობილი კახი კახიაშვილის წარმატება — თასის მოპოვება და მსოფლიო რეკორდი ძალოსნური ორჭიდის ჯამში). ყოველი ღონისძიება, რომელიც მიმართული იქნება რესპუბლიკაში სპორტის ამ სახეობის განვითარებისაკენ, მისასალმებელია და წახალისებას იმსახურებს. ერთ-ერთი ასეთი ღონისძიება იყო ახლახან ჩატარებული საქართველოს პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების ბაზებზე ძალოსნობის რესპუბლიკური სკოლის პირადი პირველობა ძალოსნობაში. ეს სკოლა (დირექტორი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ა. ჯეჯელავა) მეორე წელია რაც გაიხსნა, მაგრამ უკვე სერიოზული მუშაობა გაშალა მთელს რესპუბლიკაში. ის ფაქტი, რომ შეჯიბრებაში 86 სპორტსმენი მონაწილეობდა, თავისთავად ბევრზე მეტყველებს. ამდენი მონაწილე არასდროს ერთი სკოლის შეჯიბრებაზე, საქართველოს პირველობებზეც კი არ ყოფილა. მართალია, ამჯერად ტექნიკური შედეგები მოკრძალებული იყო, მაგრამ თვით ფაქტი ოპტიმიზმს გვინერგავს.

შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ თბილისის, ზუგდიდის რაიონის, ქალაქ ზუგდიდის, ჭიათურის, წყალტუბოს, ცხაკაიას, თელავის და მაიაკოვსკის — მ ქალაქებისა და რაიონების სპორტსმენები, სადაც დაწინაურებული სკოლის ძალოსნების ჯგუფები მუშაობენ.

შეჯიბრებაზე შესრულდა ოთხი სპორტის ოსტატობის კანდიდატის, 4 პირველი, 14 — მეორე, 18 — მესამე, და 33 ჭაბუკთა თანრიგის ნორმატივი.

წონითი კატეგორიების მიხედვით გამარჯვებას მიაღწიეს: ტუხაძემ (წყალტუბო, 48 კგ წონითი კატეგორია, ორჭიდის ჯამში 125 კგ), ხვიჩა ჯიხიძემ (წყალტუბო, 52 კგ, 177,5), სამველ ოვანესიანმა (თბილისი, 56 კგ, 157,5), ალექსანდრე ელიზბარაშვილმა (თბილისი, 60 კგ, 190), მამუკა ბესტავაშვილმა (თბილისი, 67,5 კგ, 245), კობა იობიძემ (წყალტუბო, 75 კგ, 270), იგორ კალინგავაძემ (თბილისი 82,5, 230), მუხრან გოგიამ (ზუგდიდის რ-ნი, 90 კგ, 290), პაველ პარტენოვსიანმა (თბილისი, 100 კგ, 240), იგორ კობზევმა (თბილისი, 100 კგ-ს ზევით, 265).

გარდა ამ სპორტსმენებისა შეჯიბრებამ გამოავლინა პერსპექტიული ახალგაზრდები, რომლებიც გულმოდგინე და თავდაუზოგავი წვრთნის შედეგად შეიძლება კარგი ძალოსნები აღიზარდონ. აქვე ისიც უნდა ვთქვათ, რომ სკოლის ნორმალურ მუშაობას ხელს უშლის ზოგიერთი სიძნელეები, კერძოდ, არ ყოფნის [illegible], ეს კი ხელს უშლის ჯგუფების რაოდენობის გაზრდას. საგულისხმოა ისიც, რომ მწვრთნელების მხრივ რესპუბლიკასაც უჭირს, ასე რომ, [illegible] ამ მხრივ მეტი ყურადღება უნდა გამოვიჩინოთ.

შოთა ბუაძე,
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

წლის მონაგარი — ჭადრაკი

წინ გადადგმული ნაბიჯი

როცა საქართველოს მოჭადრაკეთა მიღწევებზე ჩამოვარდება ხოლმე სიტყვა, მეხსიერებაში, პირველ ყოვლისა, ჩვენი გამოჩენილი დიდოსტატი ქალების სახელები ამოტივტივდება. პირველ ყოვლისაო, ვთქვით. ხშირად მთელი საუბრის თემაც „ქალთა ჭადრაკია“ და მხოლოდ ბოლოს თუ ვიტყვით: „სამწუხაროდ, ჩვენი ვაჟები...“ ასე იყო გუშინ, გუშინწინ, იმის წინ... და რა სასიხარულოა, რომ დღეს თამამად შეგვიძლია ჩვენი მოჭადრაკე ვაჟებით დავიწყოთ საუბარი. და, თუ მოვინდომებთ, მთელი წერილიც მათ გარშემო ავაგოთ.

1988 წლის ნოემბრამდე საქართველოში 4 საერთაშორისო დიდოსტატი ვაჟი ცხოვრობდა. 1988 წლის ნოემბრის შემდეგ მათი რიცხვი ორით გაიზარდა (ბუხუტი გურგენიძე, ედუარდ გუფელდი, თამაზ გიორგაძე, გენადი ზაიჩიკი, ელიზბარ უბილავა, ზურაბ აზმაიფარაშვილი). რა მოხდა მერე, იტყვის მკითხველი. დიდი საქმეა, ჭადრაკის ტრადიციებით განთქმულ რესპუბლიკაში ექვსი დიდოსტატი ვაჟი თუ იქნებაო. არადა, მართლაც საკვირველი და საამაყოა ერთ მცირერიცხოვან რესპუბლიკაში ამდენი დიდოსტატის სათვალავი (აქ ქალ დიდოსტატებსა და საჭადრაკო კომპოზიციის დიდოსტატებს არ ვგულისხმობთ!). ახლა ისიც ვთქვათ, რომ საერთაშორისო ოსტატების რიცხვიც გაიზარდა — ზურაბ სტურუას გვერდით იგორ ეფიმოვი ამოუდგა. წელსვე საერთაშორისო ოსტატის პირველი ბალი შეასრულეს გია გიორგაძემ და ლაშა ჯანჯღავამ, ხოლო სულ ახლახან 18 წლის ჯანჯღავამ საერთაშორისო დიდოსტატის პირველი ბალიც შეასრულა (ამ ასაკში ეს თავისთავად უნიკალური შემთხვევაა!).

წოდებები და ბალები ვის არ გაახარებს, მაგრამ, ჩვენი აზრით, არანაკლები მნიშვნელოვანია ის, რომ საქართველოს მოჭადრაკეებმა უმაღლესი დონის ჭადრაკთან „გადეს ხიდი“ — ამ ცოტა ხნის წინ „მსოფლიო თასის“ გათამაშების ფინალური ტურნირის შესარჩევ შეჯიბრებაში ქართული საჭადრაკო სკოლის 5 აღზრდილი მონაწილეობდა: ბუხუტი გურგენიძე, ელიზბარ უბილავა, გენადი ზაიჩიკი, ზურაბ აზმაიფარაშვილი და ლაშა ჯანჯღავა. საბჭოთა კავშირის ვაჟთა ჩემპიონატის უმაღლეს ლიგასაც დაუბრუნდა ჩვენი წარმომადგენელი, ამჯერად საქართველოს საჭადრაკო სკოლის სახელს რესპუბლიკის წლევანდელი ჩემპიონი გია გიორგაძე დაიცავს.

ახლა აღარ ჩამოვთვლით იმ საერთაშორისო ტურნირებს, სადაც წლეულს წარმატებით გამოვიდნენ ჩვენი მოჭადრაკე ვაჟები. ვფიქრობთ, ზემოთქმულიც საკმარისია გავიგოთ, თუ რა დიდი ნაბიჯი გადადგეს მათ წინ.

რაც შეეხება „ქალთა ჭადრაკს“, რა თქმა უნდა, აქაც გვაქვს გარკვეული წარმატებები. პირველ ყოვლისა, აღსანიშნავია მაია ჩიბურდანიძის ახალი წარმატება — მან მეოთხედ შეინარჩუნა ჩემპიონის გვირგვინი და ჩვენი ლეგენდარული ნონა გაფრინდაშვილის მიღწევა გაიმეორა. ნონას მსგავსად ახლა მაიაც მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონია!

უდავოდ საგულისხმოა ნანა იოსელიანის წარმატებაც. მან ჯერ წყალტუბოს პრეტენდენტთა ტურნირში, უშეღავათო ბრძოლაში, დაუმტკიცა ყველას, რომ ღირსია იბრძოლოს სადედოფლო ტახტისთვის, შემდეგ მსოფლიო პირველობის მატჩშიც კარგად ითამაშა და მხოლოდ ერთი ქულის სხვაობით დათმო ორთაბრძოლა მსოფლიო ჩემპიონთან.

დიდ წარმატებას მიაღწია ახალგაზრდა ქეთევან კახიანმაც. ქალთა საკავშირო ჩემპიონატის შედეგების მიხედვით, მან მსოფლიო პირველობის საზონათშორისო ტურნირში მონაწილეობის უფლება მიიღო.

წელს ჩვენს რესპუბლიკას ორი მსოფლიო ჩემპიონი ქალი ჰყავს ჭადრაკში. მაია ჩიბურდანიძეზე უკვე მოგახსენეთ. ცოტათი ადრე კი, ზაფხულში, რუმინეთის ქალაქ ტიმოშოარაში 14 წლამდე ასაკის გოგონათა შორის მსოფლიოს ჩემპიონის სახელი თეა ლანჩავამ მოიპოვა. 20 წლამდე ასაკის გოგონათა მსოფლიო პირველობაზე ვერცხლის მედლით დაჯილდოვდა ქეთევან არახამია, ხოლო სოფიკო ტერელაძემ 16 წლამდე ასაკის გოგონათა მსოფლიო პირველობაში III-IV ადგილები გაიყო.

წელს მესამედ მოიპოვა რესპუბლიკის ჩემპიონის სახელი ციალა ქასოშვილმა.

ჭაბუკთა II სპორტული თამაშების პროგრამით გათვალისწინებულ მოჭადრაკეთა ტურნირში წარმატებას მიაღწიეს ჩვენმა გოგონებმაც, [illegible] კი მხოლოდ VII ადგილს დასჯერდნენ.

და ბოლოს „თეთრი ეტლის“ საკავშირო გათამაშებაში ყველას აჯობეს ქუთაისის მე-15 საშუალო სკოლის აღსაზრდელებმა და საპატიო პრიზსაც დაეუფლნენ...

ვფიქრობთ, კომენტარი ზედმეტია — საქართველოს მოჭადრაკეების წლევანდელი მიღწევები აშკარაა და რაც ყველაზე უფრო სასიამოვნოა, არც ერთი ეტაპი, არც ერთი ასაკობრივი ჯგუფი არ არის ჩამორჩენილთა შორის. მაგრამ ისიც უდავოა, რომ რეზერვები გვაქვს — შესანიშნავი მწვრთნელები გვყავს, ძველი თაობის წარმომადგენლები თუ ახალგაზრდები, ნიჭიერი თაობები მოდიან, აშკარაა ხელმძღვანელი ორგანოების ყოველდღიური ზრუნვა და მხარდაჭერა. ამიტომაც, საქმიდან მაქსიმუმი უნდა გამოვადნოთ, ისე ვქნათ, რომ ყველგან პირველები, ყველა ეტაპზე ლიდერთა შორის ვიყოთ — ჩვენ ეს შეგვიძლია!

დავით ბატიშვილი.

შაში

მ. შალამბერიძე კვლავ უძლიერესია

ბათუმის პიონერთა და მოსწავლეთა პარკის საჭადრაკო კლუბ „ციცინათელაში“ დამთავრდა საქართველოს მოსწავლეთა პირველობა 100-უჯრედიან შაშში.

გოგონათა შორის ასპარეზობდა 5 ოსტატობის კანდიდატი, 3 პირველთანრიგოსანი და 9 მეორეთანრიგოსანი მოშაშე. შეჯიბრებაში, როგორც მოსალოდნელი იყო, დამაჯერებლად გაიმარჯვა თბილისის 23-ე საშუალო სკოლის VI კლასის მოსწავლემ, ოსტატობის კანდიდატმა მადონა შალამბერიძემ, რომელმაც 15 შესაძლებლიდან 14,5 ქულა მოაგროვა. საინტერესოა ისიც, რომ გასულ წელს შალამბერიძე უძლიერესი იყო 64-უჯრედიან შაშში როგორც გოგონათა, ისე ქალთა შორისაც. მადონას წარმატებას თანაბრად იზიარებს მისი მუდმივი მწვრთნელი, ოსტატობის კანდიდატი თენგიზ რეხვიაშვილი.

შესანიშნავად აიღო სტარტი მეორე თბილისელმა ოსტატობის კანდიდატმა ლია არუთინოვამ (მწვრთნელი ვლადიმერ ინწკირველი), რომელიც VIII ტურამდე მ. შალამბერიძესთან 6,5 ქულით I-II ადგილებს იყოფდა, მაგრამ საბოლოოდ 12 ქულით II ადგილით დაკმაყოფილდა, რადგან თანდათანობით დათმო ლიდერის პოზიციები. 11, 5 ქულით მესამე იყო სამტრედიელი მოსწავლე შორენა გაბეჩავა (მწვრთნელი არჩილ გრიგოლია). 10 ქულა მოაგროვა და პირველი თანრიგის ნორმატივი შეასრულა თინა ხარატიძემ. შეჯიბრებაში უკონკურსოდ მონაწილე მე-60 პროფტექნიკური სასწავლებლის I კურსის მოსწავლემ ლია ბეჟაშვილმა 13 ქულა დააგროვა.

ჭაბუკთა შორისაც დაძაბულობა ტურიდან ტურამდე იზრდებოდა. საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლა წარმოებდა ოსტატობის კანდიდატებს ზურაბ კოდუას, კახა ნარეკლიშვილის, გელა იორკოშნელის, ვადიმ კოჟემიაკინსა და ბათუმელ მეორე თანრიგოსან ჯამბულ შერვაშიძეს შორის. მათგან თანდათანობით გამოიყო ნარეკლიშვილ-კოდუას კონკურენცია. დანარჩენებმა კი დაკარგეს ჩემპიონობისთვის ბრძოლის შანსები. საბოლოოდ 14 ქულით გაიმარჯვა საგარეჯოელმა ოსტატობის კანდიდატმა, სოფელ ნინოწმინდის საშუალო სკოლის XI კლასის მოსწავლემ კახა ნარეკლიშვილმა, 13 ქულით II ადგილზეა თბილისის მე-60 საშუალო სკოლის VI კლასის მოსწავლე, ოსტატობის კანდიდატი ზურაბ კოდუა (მწვრთნელი თენგიზ რეხვიაშვილი), III ადგილი ხვდა ნინოწმინდელ X კლასის ოსტატობის კანდიდატს გელა ორაკოშნელს (მას, ისევე როგორც ჩემპიონს, ლია ორაკოშნელი ავარჯიშებს).

აღსანიშნავია ჯამბულ შერვაშიძის კარგი თამაში, რომელიც პირველად მონაწილეობდა ასეთი დონის შეჯიბრებაში. მან 10,5 ქულით სავსებით დამსახურებულად დაიკავა V ადგილი და გადააჭარბა პირველი თანრიგის ნორმატივს.

როლანდ ქერდიყოშვილი,
შეჯიბრების მდივანი.

ბრალდებები უსაფუძვლოდ მიგვაჩნია

„ლელოს“ შარშანდელი 14 დეკემბრის ნომერში გამოქვეყნებული იყო საქართველოს სპორტსახკომის განყოფილების გამგის გივი ყირმელაშვილის წერილი „სპორტი და სამეურნეო ანგარიში“, სადაც გაკვრით საუბარი იყო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებთან შექმნილ სპორტულ-გამაჯანსაღებელი კოოპერატივების საქმიანობის შესახებ.

კერძოდ, ავტორი შეეხო თბილისის 172-ე საშუალო სკოლასთან შექმნილ სპორტულ-გამაჯანსაღებელი კოოპერატივის „სიხარული 88“-ის საქმიანობასაც. აღნიშნა, რომ კოოპერატივის სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებსო.

წერილის ავტორის ამგვარი შეფასება არაობიექტურია, რაც კოოპერატივის ავტორიტეტს ჩრდილს აყენებს და აქედან გამომდინარე მის ბიუჯეტსაც საფრთხის წინაშე აყენებს.

კოოპერატივის სანიტარულ-ჰიგიენურ მდგომარეობაზე პასუხს აგებს 26 კომისრის სახელობის რაიონის სანიტარულ ეპიდემიური სადგურის შესაბამისი სამსახური, რომელიც სისტემატურად, კვირაში ერთხელ საცურაო აუზის წყლის ლაბორატორიულ ანალიზს და კოოპერატივის სანიტარულ შემოწმებას ატარებს. შემოწმების შედეგების საბუთები და აქტები რაიონის სანეპიდსადგურებში და კოოპერატივშიც ინახება. ამ აქტების მიხედვით კოოპერატივის სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა მიღებულ სტანდარტებს სავსებით შეესაბამება.

გვინდა გავარკვიოთ, გ. ყირმელაშვილის „თვალით ნანახს“ უფრო დაეჯერება თუ ლაბორატორიულ ანალიზს. იმედი გვაქვს, რომ ყირმელაშვილის პუბლიკაციის თაობაზე რაიონის სანეპიდსადგურიც თავის სიტყვას იტყვიან, რადგან ადამიანის ჯანმრთელობის უსაფრთხოება მათი პირდაპირი მოვალეობაა და წერილში ატეხილი უსაფუძვლო განგაში ჩირქს სცხებს მათ ავტორიტეტსაც.

ჩვენს კოოპერატივში გ. ყირმელაშვილი მხოლოდ ერთხელ, შარშან სექტემბერში იყო. მისი ვიზიტის მიზანი ჩვენთვის გაურკვეველი დარჩა. მაშინ ყირმელაშვილის რეპლიკამ („მე ხომ ჯერ საბუთებს არ გიმოწმებთო“), გაგვაოცა, თითქოს მას უფლება ჰქონდა კოოპერატივის საქმიანობა და საფინანსო მდგომარეობა შეემოწმებინა. ყოველივე ამის შემდეგ გ. ყირმელაშვილმა პირადად დამიბარა სპორტსახკომში, სადაც ჩემთან საკმაოდ არასასიამოვნო საუბარი ჰქონდა და დამემუქრა სპორტსახკომის კოლეგიაზე გაგიყვანთო. მიზეზი და საფუძველი ამგვარი მუქარისათვის დღემდე გაურკვეველია.

წერილში აღნიშნული მეორე ფაქტი, თითქოს საცურაო აუზში დღის საათებში არ ტარდება სასკოლო პროგრამით გათვალისწინებული ცურვის საათები, სინამდვილეს არ შეეფერება. ყოველ დილით სისტემატურად (როცა აუზში ცხელი წყლის მიწოდება ამის საშუალებას იძლევა) ცურვაში მეცადინეობა ტარდება. თუ ვინმე ჩემი სიტყვების სიმართლით დაინტერესდება, სისწორეს ადვილად გაარკვევს.

ჩვენი კოოპერატივი შარშანდელი 1 სექტემბრიდან მუშაობს. ჩვენი საქმიანობის შესახებ სისტემატურად, ყოველთვიურად ქალაქის განათლების სამმართველოს და რაიონის საფინანსო განყოფილებას ინფორმაციასაც ვაწვდით.

კოოპერატივი სისტემატურად გადაჭარბებით ასრულებს რაიონის ბინსოცბანკის საკასო გეგმას. რაც მთავარია, კოოპერატივის საქმიანობით მოსახლეობა კმაყოფილია. გამოდის, თითქოს ჩვენ ის ველარ გავითვალისწინეთ, რომ სპორტსახკომის განყოფილების გამგე ამხ. გ. ყირმელაშვილიც კმაყოფილი უნდა გვყოლოდა, გვეცნო მისი „უფლებები“ და თავი დაგვეხარა პიროვნების წინაშე, რომელსაც პირადად არავითარი წვლილი არ მიუძღვის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში არსებული სპორტულ-გამაჯანსაღებელი კოოპერატივების ჩამოყალიბებაში.

აქედან გამომდინარე, ჩვენ ჩვენი კოოპერატივის მიმართ მისი ბრალდებები უსაფუძვლოდ მიგვაჩნია და ვთხოვთ გ. ყირმელაშვილს დაასაბუთოს თავის წერილში აღნიშნული ფაქტები, თუ ეს საერთოდ მის კომპეტენციაში შედის. ისიც გვინდა ვთხოვოთ გ. ყირმელაშვილს, რომ შემდგომში თუ ვერაფრით დაეხმარება ჩვენს კოოპერატივს, მის მუშაობას ხელს მაინც ნუ შეუშლის.

მერაბ შევარდნაძე,
სპორტულ-გამაჯანხალებელი კოოპერატივის „სიხარული 88“ თავმჯდომარე.

„ოქროს ბუცის“ ახალი ლაურეატი



სპორტულმა სამყარომ ცოტა რამ იცის ფეხბურთის თურქი ოსტატების შესახებ. ახლა, როდესაც თურქეთის ნაკრები მსოფლიო პირველობის შესარჩევ ჯგუფში საბჭოთა ფეხბურთელებთან ერთად მოხვდა, ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ იქნება გავეცნოთ ერთ-ერთ მათგანს, ტანჯუ ჩოლაკს, მით უმეტეს, რომ წლეულს იგი პოპულარულ ჯილდო „ოქროს ბუცის“ ლაურეატიც გახდა, როგორც ევროპული ჩემპიონატების ყველაზე უფრო შედეგიანი სნაიპერი. აქამდე არ ყოფილა შემთხვევა, რომ ევროპის წამყვან კლუბებს თურქი ფეხბურთელები ეყიდათ. ახლა კი ჩოლაკის შეძენის სურვილი ბევრმა გუნდმა განაცხადა.

ტანჯუ ჩოლაკი 24 წლისაა. დაიბადა ქალაქ სამსუნში. 10 წლისამ ვარჯიში დაიწყო „იოლსპორის“ ბავშვთა გუნდში, 15 წლისა კი „სამსუნსპორში“ ჩაირიცხა. 17 წლის ასაკში პირველ პროფესიულ კონტრაქტს მოაწერა ხელი სტამბოლის პოპულარულ კლუბ „გალათასარაისთან“. ამ გუნდს სათავეში ჩაუდგა გფრ-ს ნაკრების ყოფილი მწვრთნელი იუპ დერვალი. თავის დაოსტატებას, ჩოლაკიც, პირველ რიგში, ამ განთქმულ სპეციალისტს უმადლის, რომლის ხელმძღვანელობითაც მან ესოდენ მაღალ შედეგებს მიაღწია.

პირველად ევროპულმა ექსპერტებმა ჩოლაკს ყურადღება 1985-86 წლების სეზონში მიაქციეს, როცა „გალათასარაის“ თავდამსხმელმა ეროვნულ ჩემპიონატში 33 ბურთი გაიტანა და „ფრანს-ფუტბოლის“ ტრადიციულ კონკურსში „ბრინჯაოს ბუცი“ დაიმსახურა. 1986-87 წლების სეზონში ჩოლაკმა კიდევ უფრო გააუმჯობესა ეს მაჩვენებელი, 38 გოლი გაიტანა. მართალია ამჯერად ევროპის საუკეთესო სნაიპერების უძლიერესთა სამეულში ვერ მოხვდა, მაგრამ დაამყარა ეროვნული რეკორდი.

ყველაზე მაღალ მაჩვენებელს ჩოლაკმა მაინც 1987-88 წლების სეზონში მიაღწია. „დერვალის შვილმა“ (ასე უწოდებენ მას თურქეთში) 39 ბურთი გაიტანა, გაცილებით უფრო მაღალი შედეგი აჩვენა, ვიდრე ამ ქვეყნის ჩემპიონატში მოთამაშე უცხოელებმა. ამით მან წლევანდელი „ოქროს ბუცი“ მოიპოვა. ზოგი ჟურნალისტი იმასაც წერს, ეს წარმატება შეიძლება ჩოლაკისათვის უკანასკნელიც გამოდგეს, რადგან მხოლოდ ამ ზაფხულიდან თურქეთის კლუბებში 18 (!) ბრაზილიელი ოსტატი ჩაირიცხა, მათ შორის ნაკრების ყოფილი წევრები ედერი და სერჟინიო. ამ საკითხზე დავა ახლა ძნელი საქმეა, ვნახოთ, მომავალი გვიჩვენებს.

რა თქმა უნდა, ერთია თურქეთის ჩემპიონატში გოლების გატანა და მეორე — საერთაშორისო ასპარეზზე თავის გამოჩენა. დერვალის სიტყვებისა, რომ მან ახალი გერდ მიულერი აღზარდა, ბევრს, გასაგებია, არა სჯეროდა. მიულერისა რა მოგახსენოთ და წლევანდელ საერთაშორისო მატჩებში ჩოლაკმა ნამდვილად გამოიჩინა თავი. სექტემბრიდან „გალათასარაი“ ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებაში ჩაება. მან ჯერ გათამაშებიდან ავსტრიის ჩემპიონი, ვენის „რაპიდი“ გამოთიშა, თანაც ყველაფერი ვენაში ჩოლაკის მიერ გატანილმა ბურთმა გადაწყვიტა. მეორე წრეში სტუმრად, „ქსამაქსთან“ (ნევშატელი) თურქებმა მძიმე მარცხი იწვნიეს (0:3), მაგრამ თითქმის უიმედო მდგომარეობა სტამბულში გამოასწორეს (5:0), ამასთან სამი ბურთი სწორედ ჩოლაკის ანგარიშზეა. ახლა „გალათასარაის“ მეოთხედფინალში „მონაკოსთან“ მოუწევს შეხვედრა.

თურქეთის ნაკრები მსოფლიო პირველობის შესარჩევ ასპარეზობაში ჩაება. ვენაში ავსტრიელებთან ძნელ მატჩში (2:3) ჩოლაკი მეორე ტაიმში გამოვიდა მინდორზე და ეფექტური გოლი გაიტანა. ყველაზე კარგად მან მაინც სტამბოლში ითამაშა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრებთან (3:1). ამ მატჩის მეორე ნახევარი ტრანსლირებული იყო საბჭოთა ტელევიზიით და მაყურებლები თვალნათლივ დარწმუნდნენ ჩოლაკის ოსტატობაში, რომელმაც ორი ბურთი გაიტანა. ახლა მას ნაკრებში 19 მატჩი აქვს ჩატარებული. ნაკრები, რომელიც წლების განმავლობაში მარცხს მარცხზე განიცდიდა, ახლა მწვრთნელმა ტირპანმა სრულიად გადაახალისა და ჩოლაკი მასში ერთ-ერთი ყველაზე უფრო გამოცდილი ფეხბურთელია.

ერთი სიტყვით, მრავალწლიანი პაუზის შემდეგ თურქეთში კვლავ გამოჩნდა ჭეშმარიტად მაღალი კლასის თავდამსხმელი. ტანჯუ ჩოლაკს ახლა აშკარად უფრთხიან მეტოქეები. მის საყვარელ მანევრად ითვლება შეტევის მარცხენა ფრთიდან განვითარება. კარგად ურტყამს ორივე ფეხით, განსაკუთრებით მარჯვენათი. „მე ჩემთვის კი არ ვთამაშობ, არამედ გუნდისთვის“ — ამბობს ჩოლაკი.

გივი თორელი.

სიახლენი თანამედროვე ხუთჭიდში

მონტეკატინიში (იტალია), სადაც სამი წლის წინ თანამედროვე ხუთჭიდელთა მსოფლიო ჩემპიონატი მოეწყო, უიმპბ-ს (თანამედროვე ხუთჭიდისა და ბიატლონის საერთაშორისო კავშირი) ხელმძღვანელი ორგანოების გაფართოებული სხდომა ჩატარდა. სხდომამ სპორტის ამ ორი სახეობის შემდგომ განვითარებასთან დაკავშირებით რამდენიმე საინტერესო გადაწყვეტილება მიიღო.

მათ შორის პირველი და უმთავრესი გახლავთ ის, რომ ამიერიდან საერთაშორისო კავშირი სპორტის სამ სახეობას მოემსახურება. ეს მესამე სახეობა ტრიატლონია, რომელიც ბოლო დროს დიდი პოპულარობით სარგებლობს მსოფლიოს ხუთივე კონტინენტზე. ასე რომ კავშირი ახლა თანამედროვე ხუთჭიდის 54, ბიატლონის — 44 და ტრიატლონის 60-მდე ეროვნულ ორგანიზაციას გააერთიანებს.

მონტეკატინში მოეწყო საერთაშორისო კავშირის ახალი პრეზიდენტის არჩევნები. ამ პოსტზე ერთხმად აირჩიეს ცნობილი საბჭოთა ხუთჭიდელი, მსოფლიოს ოთხგზისა და ოლიმპიადის (გუნდურ ჩათვლაში) ჩემპიონი იგორ ნოვიკოვი. ადმინისტრაციული საბჭოს შემადგენლობაში კი დამატებით შეიყვანეს ჩინეთისა და სამხრეთ კორეის წარმომადგენლები.

დელეგატებმა ამავე სხდომაზე აცნობეს ისიც, რომ 1992 წლის ბარსელონის ოლიმპიურ თამაშებზე მოეწყობა საჩვენებელი გამოსვლები ქალთა თანამედროვე ხუთჭიდში, რაც შეეხება ბიატლონისტ ქალთა ტურნირს, იგი ზამთრის მომდევნო ოლიმპიადის პროგრამაში შევიდა.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ბიატლონისტთა შეჯიბრებამ კალგარიში საერთაშორისო კავშირს 2 მილიონი დოლარი მოუტანა, თანამედროვე ხუთჭიდელთა შეჯიბრებამ სეულში კი მხოლოდ 950 ათასი დოლარი.

სხდომაზე მიიღეს გადაწყვეტილება თანამედროვე ხუთჭიდელთა შეჯიბრებაში წესების არსებითი ცვლილებების შესახებ. აქამდე ხუთჭიდელები, როგორც წესი, ან პირად ტურნირში ასპარეზობდნენ, ან გუნდურში, ან კიდევ პირად-გუნდურში. მაგრამ ჩათვლა, ნებისმიერ შემთხვევაში, ერთი შეჯიბრების შედეგებით ხდებოდა.

ახლა ეს წესი მოდერნიზებულია. ამ ცვლილების ავტორები საბჭოთა სპეციალისტები გახლავან. სიახლე კი შემდეგში მდგომარეობს. თანამედროვე ხუთჭიდელთა შეჯიბრება ამიერიდან ხუთის ნაცვლად ექვს დღეს გაგრძელდება. თანაც პირადი და გუნდური ასპარეზობა ცალ-ცალკე ჩატარდება. ოთხი დღე ინდივიდუალურ შეჯიბრებებს დაეთმობა, ორი დღე კი (პირველ დღეს სამი სახეობა, მეორე დღეს — ორი) გუნდურს.

ცვლილებები მოხდება პირად ტურნირშიც. პირველი სახეობა ამიერიდან ფარიკაობა იქნება. 2 წუთამდე შემცირდა ბრძოლის ხანგრძლივობა. და, რაც მთავარია, საფარიკაო ბილიკების რაოდენობა 14-მდე გაიზარდა.

ინფორმაცია

რედინგი (ინგლისი). ფრენბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირის პირველ დღეს მსოფლიო ჩემპიონმა ჩინეთის ნაკრებმა სამ პარტიაში (15:8, 16:14, 15:5) დამარცხა სეულის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი პერუს გუნდი. სხვა შეხვედრები დამთავრდა ასე: პოლონეთი — ინგლისი 3:0, პოლონეთი — ჩეხოსლოვაკია 1:3.

ლაიფციგი. ხელბურთელ ქალთა ტრადიციულ საახალწლო ტურნირში გამარჯვება მოიპოვა ბროვარის (კიევის ოლქი) „პლამიამ". ტურნირის დამთავრების შემდეგ საუკეთესო მეკარედ ნ. ლუკიანენკო დაასახელეს, სნაიპერად კი მისი თანაგუნდელი ტ. შერემეტი, რომელმაც 21 გოლი გაიტანა.

მილუოკი. აშშ-ს ჩემპიონები ციგურაობაში გახდნენ ბონი ბლეირი და ნიკ ტომეტცი.

* * *

ელოდებიან ვიაჩესლავ ფეტისოვს

მიდოუ-ლენდზი (აშშ, ნიუ-ჯერსის შტატი). ცსკა-ს ჰოკეისტებმა, რომლებიც ამხანაგურ შეხვედრებს ატარებენ კანადა-აშშ-ს პროფესიონალ ჰოკეისტებთან, ბოსტონში გამარჯვების შემდეგ (5:4) კიდევ ერთი მატჩი მოიგეს, ამჯერად „ნიუ-ჯერსი დევილზთან" — 5:0 (3:0, 2:0, 0:0).

სპეციალისტები ერთხმად აღნიშნავენ, რომ საბჭოთა ჰოკეისტებს წარმატება მოუტანა სწრაფმა და კომბინაციურმა შეტევებმა და რომ სტუმრები თამაშის ყველა კომპონენტში სჯობდნენ მასპინძლებს. შაიბები ამ შეხვედრაში გაიტანეს: კონსტანტინოვმა, ბიკოვმა, კასატონოვმა, ფეტისოვმა და ხომუტოვმა.

მატჩის შემდეგ გამოცხადდა საუკეთესო ჰოკეისტები. საბჭოთა სპორტსმენთაგან ჟიურიმ უპირატესობა ვიაჩესლავ ბიკოვს მიანიჭა (მან ამ ტურნეში უკვე სამი შაიბა გაიტანა), მასპინძლებში კი ჰერი ანდერსონს. მაგრამ ყველაზე გულთბილად ადგილობრივმა გულშემატკივრებმა ვიაჩესლავ ფეტისოვი მიიღეს, რომელმაც მომავალში შესაძლებელია სწორედ „ნიუ-ჯერსი დევილზში" ითამაშოს. ყოველ შემთხვევაში არმიელთა მწვრთნელის ვ. ტიხონოვის განცხადებით ახლა სწორედ ამ საკითხზე მიმდინარეობს მოლაპარაკება. ნიუ-ჯერსელთა მწვრთნელის შონფილდის აზრით, ფეტისოვის რანგის ჰოკეისტი მის გუნდს დიდ სარგებლობას მოუტანდა. როგორც ცნობილია, ამ ქალაქის ჰოკეისტები ნხლ-ს ჩემპიონატის ერთ-ერთ ჯგუფში დღეისთვის ბოლოსწინა ადგილზე იმყოფებიან.

* * *

„ეკიპის" ლაურეატები

პარიზი. საფრანგეთის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი სპორტული გაზეთის „ეკიპის" საახალწლო გამოკითხვაში წლის საუკეთესო სპორტსმენად ამერიკელი მძლეოსანი, სეულის ოლიმპიადის სამი ოქროს მედლის მფლობელი (100, 200 მეტრზე რბენასა და 4X100 მ. ესტაფეტაში გამარჯვებული) ფლორენს გრიფიტ-ჯოინერია დასახელებული. რეფერენდუმში მონაწილეობა მიიღო მრავალმა უცხოურმა გაზეთმა და ჟურნალმა.

გრიფიტ-ჯოინერმა 40 ქულით ჩამოიტოვა მეორე ადგილზე გასული მოცურავე კრისტინ ოტო (გდრ), რომელსაც სეულის ოლიმპიადის აბსოლუტური რეკორდი ეკუთვნის — მოიპოვა ექვსი ოქროს მედალი. მესამე ადგილი გამოკითხვაში დასავლეთგერმანელ ჩოგბურთელს შტეფი გრაფს ხვდა, როგორც ხედავთ, 1988 წლის სამივე ლაურეატი ქალია.

ფოტოჟურნალისტები ფოტოჟურნალისტის თვალით

CUBA
ПРАВДА-78
77

მაესტრო სმოროდსკი

(დაბადების 100 წლისთავის გამო)

ანდრეი სმოროდსკიმ (1888-1954) თავი გამოიჩინა პეტერბურგის საჭადრაკო საკრებულოს ტურნირებში. 1913 წელს სრულიად რუსეთის მოყვარულთა (ასე უწოდებდნენ წინათ არაოსტატებს) ტურნირში II ადგილი დაიკავა და უფლება მოიპოვა ეთამაშა სრულიად რუსეთის ოსტატთა ტურნირში (1913-1914 წ.წ.), რომელშიც ოსტატის წოდება მიაკუთვნეს. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ იგი შედის წითელ არმიაში, სადაც სიცოცხლის ბოლომდე იმსახურა.

სმოროდსკი 1921 წლიდან თბილისში ცხოვრობდა, აქ იგი მე-11 არმიას მოჰყვა. 1933 წელს საბჭოთა არმიის ჩემპიონია. მონაწილეობდა მე-3 (მოსკოვი, 1924 წ.) და მე-5 (მოსკოვი, 1927 წ.) საკავშირო ჩემპიონატებში. 1926 წელს გახდა თბილისის ჩემპიონი და საუკეთესო პარტიის პრიზიც მან მოიპოვა. (ქვემოთ ამ პარტიასაც გთავაზობთ დანილოვთან). იგი კითხულობდა ლექციებს თბილისის სარკინიგზო ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტში.

მე მივაგენი თბილისის 1925 და 1926 წლების ჩემპიონატების რამდენიმე პარტიას (სამწუხაროდ, ჩვენთან საჭადრაკო არქივი არ არსებობს). დღეისათვის, 1925 წელს „ცოცხალი ჭადრაკით" გათამაშებულ სმოროდსკი — იოჰანის პარტიასთან ერთად, ეს ყველაზე ადრინდელი პარტიებია, გათამაშებული საქართველოში, XX საუკუნეში, და უცნობია ჩვენი საზოგადოებისთვის, მათ შორის — მოჭადრაკეებისთვისაც. ამ პარტიებს, ისტორიულობის გარდა, შემეცნებითი ღირებულებაც აქვთ.

გთავაზობთ ფაინი — სმოროდსკის პარტიის დაბოლოებას თბილისის 1925 წლის ჩემპიონატიდან.

სმოროდსკი



ფაინი

რამდენიმე სვლის წინ, კონტრთამაშის ძიებაში ფაინმა 21. ეa1-a5 სვლით დაასუსტა პირველი ჰორიზონტალი (ჩაისახა კომბინაციური მოტივი), რამაც შემდეგ განაპირობა სხვა მოტივებიც: e1 უჯრის კრიტიკულობა (შეტევა და დაცვა ერთმანეთს აწონასწორებს) და თეთრი ლაზიერის •გადატვირთვა. ყოველივე ეს საშუალებას აძლევს სმოროდსკის, ლაზიერის შეწირვით განახორციელოს ე. წ. გათრევის იდეა.

22... ლ:c2!

ფაინი დანებდა.

საინტერესოა გავიხსენოთ სმოროდსკი — დანილოვის პარტიაც, რომელშიც ალიოხინის დაცვა გათამაშდა:

1. e4 მf6 2. e5 მd5 3. c4 მb6 4. d4 d6 5. ed ed 6. კe3 კf5 7. მc3 მc6 8. მf3 ლd7 9. კe2 კe7 10. 0—0 h6 (დროის დაკარგვაა. საჭირო იყო როქის გაკეთება) **11. d5 მe5?** (ამ ბუნებრივი სვლის შემდეგ თეთრები ფორსირებულად იგებენ. ჯობდა 11... მd8, თუმცა 12. მd4 0—0 13. მ:f5 ლ:f5 14. კd3 და კc2-ის შემდეგ შავების მდგომარეობა არასახარბიელოა) **12. მ:e5! de 13. c5 მc8 14. d6! კd8** (თუ 14... cd, მაშინ 15. კb5) **15. ლd5 c6 16. ლ:e5+ ლe6 17. d7+! მფ:d7 18. ეad1 მფe8 19. ე:d8+! მფ:d8 20. ლ:g7 ეe8 21. ეd1+ მფe7 22. კ:h6.** დანილოვი დანებდა, რადგან კg5+ გარდაუვალია.

შოთა ინწკირველი,

ჩოგბურთის ამბები

ადელაიდა. საბჭოთა ჩოგბურთელებმა — მოსკოველმა ანდრეი ოლხოვსკიმ, კალინინგრადელმა ალექსანდრე ვოლკოვმა და უფელმა ანდრეი ჩერკასოვმა წარმატებით აიღეს სტარტი სამხრეთ ავსტრალიის შტატის ღია ჩემპიონატში. ჩერკასოვმა პირველ ტურში იოლად დაამარცხა გფრ-ის წარმომადგენელი ალექსანდრ მრონზი — 6:3, 7:6. ოლხოვსკიმ მოუგო ლიბორ ნემეჩეკს (ჩეხოსლოვაკია) — 1:6, 6:3, 6:2. ჩოგბურთის მოყვარულებს სიურპრიზი შესთავაზა ვოლკოვმა — 79-ე ჩოგანმა. იგი შეხვდა ჩვენს უძლიერეს ჩოგბურთელს, მოსკოველ ანდრეი ჩესნოკოვს და მოუგო ანგარიშით 6:3, 6:1.

შეჯიბრების პირველი დღის სენსაცია იყო ერთ-ერთი მთავარი ფავორიტის, ავსტრალიელი დარენ კაჰილის დამარცხება ასევე ავსტრალიელ მარკ კრატცმანთან — 6:7, 1:6.

სხვათა შორის, დეკემბერში ადელაიდაში ჩატარდა ქალთა გუნდების მსოფლიო ჩემპიონატი, ახალი წლის პირველ დღეს კი აქვე დამთავრდა ჰოპმანის თასის გათამაშება. თასი მოიგეს ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენლებმა ჰელენა სუკოვამ და მილოსლავ მეჩირჟმა.

სხვადასხვა შტატის ღია ჩემპიონატების შემდეგ შედგება ავსტრალიის ღია ჩემპიონატიც — „დიდი მუზარადის" პირველი ტურნირი.

„სპორტპროგნოზი"

პირველი ტირაჟის შედეგები
(31.XII-1.I)

1—2, 2—2, 3—2, 4—1, 5—1, 6—1, 7—X, 8—2, 9—1, 10—1, 11—1, 12—2, 13—1.

შენიშვნა: პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე — შედეგს.

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096,
თბილისი, ლენინის ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო",

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„მერანი" — 93-97-26, „მართვე" — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი
66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 05677